# სახალხო გაზეთი

№ 320 სამშაბათი, 7 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 320

გაზეთის ფასი: რუსეთის იმპერიაში წლიურად 5 მ. 50 კ., თვიურად ... ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირაში) 7 კაპ.

რედაქცია და კანტორა: ტფილისი, „სახალხო გაზეთი" ...

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" (სურათებიანი დამატებით) 1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვახსენებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვინც ხელი მოაწერს გაზეთს, თვის ბოლომდე ...

გაზეთის ფასი დამატებიანად ტფილისში და ... პირდაპირ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. — | 7. 50 | 6. 90 | 6. 20 | 5. 50 | 4. 80 | 4. — | 3. 50 | 2. 50 | 1. 60 | — 80 |
| 12. 8 | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. — | 3. — | 2. — | 1. 25 |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირაში) 7 კაპიკი.

ადრესის გამოსაცვლელად ფასი 10 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

მწუხარებით დადაგულნი ნინა ილიას ასული ასანიძისა, ანნა პავლეს ასული მამაცაშვილისა, თამარ ილიას ასული ყიფიანისა, სოფიო ილიას ასული კნეინა ბაგრატიონ-მუხრანსკისა, გიორგი შაქლის ძე ყიფიანი და თავადი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, პირველის—მეუღლისა, მეორეთა—სიძისა, ხოლო უკანასკნელთა ქვისლის—დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის

დიმიტრი ვასილის ძის ასანიძისა.

ცხედარი გამოსვენებული იქნება ქ. განჯიდან ტფილისში და დაიკრძალება კუკიის სასაფლაოზე 7 ივნისს, სამშაბათს, დილის 9 საათზე. (2—1325—2)

ეკატერინე ქურდიანიძისა, ეფემია ნიკოლოზის ასული და მღვ. გრიგოლ სონღულაშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—შვილის-შვილის, მეორე—დისწულის

იოსებ კონსტანტინეს ძის ქურიძისას.

პანაშვიდი დღეს, სალამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე, კვირაცხოვლის ქუჩა, № 28, გამოსვენება ოთხშაბათს, 8 ივნისს, დილის 9 ს., ანჩისხატის ტაძარში. დასაფლავება პეტრე-პავლეს ეკლესიაში. (2—649—1)

# გამგეობა

## ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ თანახმად 29 მაისის არა ჩვეულებრივ კრების დადგენილებისა, ხელმეორე, არაჩვეულებრივი, საზოგადო წევრთა კრება დანიშნულია 12 ივნისს, ამა 1911 წ., ყვირილის საკრებულოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, ნაცვლად აბო საყვარელიძისა და სამი საბჭოს წევრის ნაცვლად ა. წერეთლისა, ა. აბაშიძისა და დ. მახარაძისა. გამგეობის მოხსენება რამდენიმე საკითხის შესახებ. (3—319—2)

# ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სადასტურით. (წ.—1089—480)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—72

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთის"

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ მიმდ. 1911 წ. 18 ივნისს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება ქ. თელავში ბიუროს სადგომში დილის 10 საათზე. ამ კრებას, როგორც მეორეს, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრების უნდა განიხილოს:

1) 1909—1910 წლის ანგარიში და 1910—1911 წლის ხარჯთაღრიცხვა, 2) ახალი წევრების არჩევანი, რომ გამგეობის წევრების და ორი მათ კანდიდატის არჩევანი, 3) სავინო ამ წევრთა შესახებ, რომლებიც არ შეასრულებენ საზოგადოების წესდებით დაკისრებულ ვალდებულებას და მით ზარალი მიაყენეს საზოგადოებას. 4) დანიშნე გასამრჯელოს გამგეობის წევრთათვის. (3—1322—3)

„სურაპანის" სტამბა

მადათოვის კუნძულზე ი. კამოევის შენობაში. სტამბა უკვე მოეწყო და ღებულობს ყოველგვარ

დასაბეჭდ საქმეებს. (5—1316—5)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—62)

ქართ. სასოფლო სამეურ. საზოგადოება

8 ამ ივნისს საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში, საღამოს 8 საათზე, აგრონომი ალ. კალანტარი წაიკითხავს მოხსენებას საქონლის მოვლა-მოშენებასა და ინსტრუქტორების დანიშნაზე.

კრებას ყველა საზოგადოების წევრს შეუძლიან დაესწროს. (2—1328—1)

# ხ ო ნ ი ს

## საურთიერთო კრედიტის საზოგადოების

# გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცნობებს ბანკის წევრებს, რომ რადგანაც საგანგებო კრებაზე 29 მაისს 1911 წ. კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, დანიშნულია

მეორე საგანგებო კრება

12 ამა ივნისს, რომელიც თანახმად წესდების § 35 იქნება კანონიერი რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

საგანი კრებისა: მოხსენება წლიურ საზოგადო კრებაზე არჩეულ კომისიისა ახალ ბინაზე გადასვლის თაობაზე. (3—1318—2)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ჯ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრათით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—55)

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. (წ. —1090—77)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—3)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორდანოვის ქ., N 20. (წ.—1249—33)

ექიმი ნინო რუხაძისა ქალთა და ბავშვთა სნეულებებისა, იღებს ავადმყოფთ დილით 9—12 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. ოსპიტლის ქუჩა N 2.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და 5—7ს. ლოკინის ქუჩა N 12, ახლო მდ.

ექიმი ისიდორე ქანთარია გადავიდა ახალ ბინაზე Слуховъ Сборовъ-ის გვერდზე, ავადმყოფებს იღებს სხვა დღეებში ... (ვერაში) N 68. (თ.—1329—1)

შპალიერი

ძმ. ძარღოვლოლთა

ტფილისის განყოფილება იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 255. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—26)

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ-ენებისა და მუსიკის მცოდნე

აძლევს გაკვეთილებს

თანახმაა ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.

ადრესი: გუდოვიჩის ქ. N 7; სამხატვრო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი. (10—1309—10)


# ადგილობრივი პრესა

საბანკო არჩევნები დასრულდა და გაზეთებშიაც გაისმა ხმა სხვადასხვა უკმაყოფილო ჯგუფებისა. თავად-აზნაურთა გაზეთმა „ზაკავკაზიე"-მ ბოლმით სავსე წერილი მოათავსა, დაიწყო უკბილო ოხუნჯობა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ბ-ნ გ. ყურულს გაჰკრა კბილი. „ზაკავკაზიე"-ს წერილებში ნათლადა სჩანს დამცირებულ ადამიანის სულიერი განწყობილება, და ამიტომ პრინციპიალური ხასიათიც არა აქვს. ამავე საგანს ეხება გაზეთი „თემი".

„წრემ, რომელსაც მეთაურობს მიხ. მაჩაბელი, სრულებით გაიტეხა სახელი. ეს იქიდანა სჩანს, რომ ყველა მისი წრის წევრს წილად ხვდა საშინელი დამარცხება. ავიღოთ, მაგალითად, კანდიდატურა ვლადიმერ ვაჩნაძისა, დიმიტრი ჩოლოყაშვილისა. განა ამათი გაშავება მიეწერება მათ პირადობის თვისებებს? არასოდეს. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ რწმუნებულები ნდობით აღარ უყურებენ იმ წრეს, რომლის წევრებად ისინი ითვლებიან.

* * *

გაზეთ „თემში"-ვე დაბეჭდილია წერილი ბ-ნ კატონისა, რომელიც მოთმინებიდან გამოუყვანია იმ ლანძღვა-გინებას, რომელიც გამართულია „ზაკავკ. რეჩ"-სა და „ზაკავკ"-იეს შორის. ბ-ნი კატონი, სხვათა შორის, სწერს:

„მოთმინების ფიალა აივსო, ბატონებო! თუ აგრე შეგყვარებიათ ერთმანეთის კილვა-ძრახვა, ისევ ქართულად მაინც ლანძღეთ ერთმანეთი!"...

ვითომ რატომაო, ბატონო კატონო? ქართული ენა რა მეცამეტე გოჭია? არა, თუ მაინცა და მაინც აუცილებელია ლანძღვა-გინება, დაე ისევ რუსულად ლანძღონ ერთმანეთი. ქართული ენასა და პრესას კი ღმერთმა აშოროს ეს სიკეთე.

„ვლადიმერ ვაჩნაძის და დიმიტრი ჩოლოყაშვილისთანა პირები უნდა მიხვდნენ, რომ აღარ შეიძლება ამნაირად საქმეების წაყვანა".

... ხვეჭონ სასახელო ამ პირებმა:

რაც გაკეთებული იყო ნიჭიერ დავით მელიქიშვილის დროს, ის ყველაფერი ახლა გაფუჭებულია...

ასეთი ნაყოფი აქვს დღევანდელ მოღვაწეობას თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილისა და მიხ. მაჩაბლისას".

ეს პირები, როგორც ზევით ამოწერილ სიტყვებიდანა სჩანს, „საზოგადოებრივ აზრის წინააღმდეგ მოქმედობენ". მერე რაში გამოიხატა ეს საზოგადოებრივი აზრი? ეს აზრი, თუ მას განვიხილავთ იმნაირად, როგორც „თემი"-ს მეთაურის ავტორის აზროვნებაში ისახება, გამოიხატება დავით მელიქიშვილის ტრადიციების აღდგენაში, დიაღ, სწორედ ამ ტრადიციების აღდგენაში. „რაც კი ნიჭიერ დავით მელიქიშვილის დროს გაკეთებულა, ეხლა გაფუჭებულა"; მაშასადამე, დაუბრუნდეთ „ნიჭიერ" დავით მელიქიშვილის ტრადიციებს. არა მგონია ამისთანა სიტყვების გამოთქმისთვის მადლობა გადაუხადოს „თემს" იმ ჯგუფმა, რომლის აზრებსაც იგი ვითომ გამოხატავს. ჩვენ არას გზით არ ვიზიარებთ დეპუტატთა საკრებულოს მოღვაწეობას, მაგრამ ღმერთმა მაინც თვითონ აშოროს დავით მელიქიშვილის შავ-ბნელი ტრადიციები... დღევანდელ პირობებში დავით მელიქიშვილის მოღვაწეობაზე და მის ტრადიციებზე მეტს ვერაფერს ვიტყვით.

# დ ე პ ე შ ა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ბათომი.** საქალაქო არჩევნები დამთავრდა. აირჩიეს: 20 ქართველი, 14 რუსი, 8 სომეხი და 5 ბერძენი.

**ახალქალაქი** (ტ. გ.) 6 ივნისს დილით თოვლი მოვიდა და მთელი მიდამო დაჰფარა. შიშობენ ხეხილები და პირნახული არ დააზროს.

**ფასანაური** (დ. მ.) 5 ივნისიდან მთელს ხეობაში კოკისპირული წვიმა მოდის. არაგვი ადიდდა და კავკავის სამხედრო გზა წალეკა. ანანურსა და მლეთის შუა გზები გააფუჭა მთის ნიაღვარმა. ფასანაურსა და მლეთში ავტომობილები და მგზავრნი მოეშწყვდნენ.

**პიატიგორსკი.** დელავინების მამისა და შვილის მკვლელნი ციხიდან გაქცევას შეეცადნენ. ერთი მათგანი დასჭრეს, ყველანი შეიპყრეს. ერთი ციხის მცველიც დაიჭრა.

# ახალი ამბები

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **სენატორი ვატაცი** მთხოვნელებს მიიღებს ამ ზაფხულში სამშაბათობით, ნაშუადღევის სამ საათზე. სამსახურის საქმეთა გამო მოსულ პირებს მიიღებს ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ **ქალაქის გამგეობამ 200 მა**ნეთი გადასდო გოლოვინის პროსპექტსა და მიხეილის ქუჩაზე დასადგმელად სკამების შესაძენად.

◆ **საელექტრონო სადგური.** 8 ივნისს შეერთებული კრება ექმნება ქალაქის გამგეობასა, ქალაქის საბჭოს სატეხნიკო, საფინანსო და იურიდიულ კომისიებს. განხილულ იქმნება საბოლოოდ პროექტი ხელშეკრულობისა ქიროდალუტერის ფირმასთან, რომელიც ქალაქის საელექტრონო სადგურის მოწყობას კისრულობს.

◆ **ტფილისისკენ მომავალ ექსკურსიების რიცხვმა წელს ძალიან** იმატა. გუბერნატორის დავალებით პოლიციმეისტერმა ბრძანება გასცა, რათა პოლიციელებმა ექსკურსანტებს ყოველგვარი კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ.

◆ **13,000 მან. შემწეობა სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორად ნამყოფ ივ. მაჩაბლის ქვრივს.** ფინანსთა სამინისტროს რწმუნებულმა შეაჩერა სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა დადგენილება, რომლითაც ბანკის დირექტორად ნამყოფ ივ. მაჩაბლის ქვრივს 13.000 მან. უნდა მისცემოდა იმ პენსიის ნაცვლად, რომელიც მას ბანკიდან უნდა დანიშნოდა ქმრის უკვალოდ დაკარგვის დღიდან. დადგენილების სისრულეში მოყვანი შეჩერებულ იქმნა ფინანსთა სამინისტროდან განმარტების მიღებამდე.

◆ **ქალაქის გამგეობასთან არსებული საექიმო სასანიტარო ბიუროს ცნობებით 21-დან 31 მაისამდე ტფილისში ავადმყოფობა** შემდეგ მდგომარეობაში **იყო:**

**არამიანცის საავადმყოფოში** 21 მაისისათვის იყო სულ 119 ავადმყოფი, 10 დღეში მიემატა—69, მორჩა—70, გარდაიცვალა—5, 31 მაისისათვის დარჩენილა 112 ავადმყოფი.

ქალაქის ბარაკებში ავადმყოფები 21 მაისისათვის იყო: ყელჭირვებით—10, მიემატა—1, გაეწერა—6, 31 მაისისათვის დარჩა—5; ხუნაგით იყო—18, მიემატა—7, გაეწერა—15, გარდაიცვალა—1, 31 მაისისათვის დარჩენილა—9; სოთვლით იყო—4, გაეწერა—2, დარჩენილა—4; წითელი ქარით და ნაწლევებისა და კუჭის ავადმყოფობით ავად გამხდარა—2;

ტფილისის ალექსანდრეს სახელობის ვენერიულისა და ტანის ავადმყოფობის საავადმყოფოში 21 მაისისათვის იყო: 32 კაცი და 41 ქალი. ათი დღის განმავლობაში ახლად ჩაეწერა 26 კაცი და 21 ქალი, გაეწერა 27 კაცი და 23 ქალი; ასე რომ 31 მაისისათვის დარჩენილა 31 კაცი და 39 ქალი.

◆ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში 21 მაისისათვის იყო: 29 კაცი და 21 ქალი. 10 დღის განმავლობაში ავად არავინ გამხდარა.

## წვრილი ამბები

◆ **უგზოდ დაიკარგნენ ტფილისში:** ლეონიდ სტეფანეს ძე ანდრეევი და ბაგრატ ხაჯამიდი.

◆ 4 ივნისს, ვაგზლის ქუჩაზე, სახლი № 8, ცხვენზე თავი ჩამოუხჩვია შორაპნის მაზრის, სოფ. საზანოს მცხოვრებს ივანე ალექსის ძეს ბერცხიკიძეს. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ 4 ივლისს ოლღა კოკაშვილისამ პოლიციაში განაცხადა, რომ მისი გარდაცვლილი დის ქმარი, რკინის გზის მოსამსახურე ანტონ კმაევეცი სისტემატიურად აწამებს თავის 13 წლის ქალს ანტონინას, დედინაცვლის შთაგონებითაო, საექიმო შემოწმებამ წამება დაამტკიცა. კრავეცი სამართალში მისცეს.

◆ 5 ივნისს დილით რაჭის მაზრის სოფ. ქიბრელის მცხოვრებ დიანოს ომიაძის თორნეში (იერუსალიმის ქუჩა № 12) შესულა უცნობი ახალგაზდა და ღია დახლიდან ფულის გატაცებას აპირებდა. პოლიციამ უცნობი შეიპყრო, რომელიც კონსტანტინე შახნაზაროვი აღმოჩნდა.

◆ 5 ივნისს ლაზარეთის ქუჩაზე იპოვეს ორი კვირის ბავშვი დედობრივი სქესისა, რომელიც ოლღას თავ-შესაფარში გაჰგზავნეს.

◆ 4 ივნისს პოლიციამ შეიპყრო უპასპორტონი: პირველ საპოლიციო უბანში—12 კაცი, მეოთხეში—5, მეხუთეში—19 და მე-11-ში—19.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახალხო სახლთან არსებულ რუსულ დრამატიულ ჯგუფის** კრება 4 ივნისს მოჰხდა. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, შეადგინონ ფონდი განსვენებულ ნ. კ მისტროვის სახელობაზე, საიდანაც პრემია უნდა მიეცეს საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოების ავტორს. საკითხი სახალხო თეატრის იჯარით აღების შესახებ გადაუწყვეტავი დარჩა, რადგან ქალაქის გამგეობას ჯერჯერობით საბოლოოდ შემუშავებული არა აქვს თეატრის იჯარით გაცემის პირობები.

◆ 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრებაზე ალ. ქალანთარი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქონლის მოვლა-მოშენება და ინსტრუქტორების დანიშვნა". კრებაზე დასწრება ყველას შეუძლია.

## სასწავლებლებში.

◆ **ამერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტი წელს 22** ქალმა გაათავა. მათში 3 ქართველია: ქსენია გოპაძე, ლუბა მაჭავარიანი და თამარ რცხილაძე.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს ხირურგიის პრორექტორის გ. ვარავკას მეთაურობით ტფილისში ჩამოვიდნენ. ივნისშივე ჩამოვლენ ექსკურსიები: სამარის კომერციულ სასწავლებლისა და პოლტავის ვაჟთა მე-2-ე გიმნაზიისა.

## სასამართლო

◆ როგორც ამას წინად ვწერდით, სამხედრო სასამართლომ მიხ. ხუციშვილსა და დიმიტრი გელიაძეს გადაუწყვიტა პირველს 7 წლისა და მეორეს 6 წლის კატორღა. ეხლა ნამესტნიკის მოადგილემ გ. შატილოვმა ორივეს კატორღა შეუცვალა სამუდამო გადასახლებით.

◆ **სამართალში მისცეს** გაზეთში მოთავსებულ წერილისათვის სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით აწ დახურულ გაზეთ „ხალხი"-ს რედაქტორი ზაქ. საფაროვი, რომელიც საქმის გარჩევამდე განთავისუფლებულია 300 მან. თავდებით.

## ბაქო

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა გუბერნატორის წინადადება ქალაქის სულთ-აღწერის შესწორების შესახებ და ამ საქმისათვის 4,000 მან. გადასდო.

◆ ბალახანის ამხანაგობის გამგის ს. ბერნშტეინის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა შავი ქალაქის ნავთსაყვან მიწების ზედამხედველი მკრტიჩიანცი. 3 ივნისს შურის ძიების მიზნით მკრტიჩიანცი მიეპარა ბერნშტეინსა და ამხანაგების დახმარებით ძლიერა სცემა.

◆ გუშინ ბალახანაში ბენკენდორფის ნავთის სამრეწველოში ცეცხლი წაეკიდა ნავთით სავსე ავზს. ზარალი დიდია.

## გორი

◆ მეხილეთა საზოგადოების კრებაზე ცნობილ მრეწველთა ფურცელაძისა, ფავლენიშვილებისა და სხვათა მეთაურობით, ორმოცამდე კაცი გამოცხადდა. **კოოპერატიულ ხელშეკრულებას 37 კაცმა მოაწერა ხელი.** 19 ივნისს ამ ხელშეკრულობას ნოტარიალურ წესით შეამოწმებენ. გაცემულ ხილის რაოდენობა, საზოგადოების ვარაუდით, წელს 15 ათას ფუთამდე ავა. ამხანაგობა მოქმედებას ამ წლის 1 აგვისტოდან დაიწყებს.

## თელავი

◆ 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თელავის ახლოს ყაჩაღებს მოუკლავთ ს. შაშიანის ნაცვალი მჭედლიშვილი.

## პროვინცია

◆ **სოფ. ველისციხის** (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებს ჯავახიშვილს თელავიდან წერილი მიუღია, რომლითაც ბოროტ-განზრახველნი მას 1000 მანეთსა სთხოვდნენ. წერილს ხელს აწერდნენ თურმე „ილიკო" და „ნიკო". ეჭვი ნაწერის მიხედვით კასრაძეზე და სიმონიშვილზე მიუტანიათ.

◆ **სოფ. არაშენდაში** (სიღნაღ მაზრა) საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ **სოფ. ყარანგოზოვკაში** (დუშეთის მაზრა) ფეოდოს მაკიცკისთან მისულა ზაქარია კოშაშვილი და მისი ცოლი სამუშაოდ დაუქირავებია. კოშაშვილს მათთან ღამე გაუთევია და დილას მაკიცკისათვის უთქვამს ცხენი შემიკაზმეო. მაკიცკის გასვლისას მას ოთახის კარები ჩაუკეტია და ცოლის გაუპატიურება მოუწადინია. ქალის წივილ-კივილზე ქმარი მივარდნილა და კოშაშვილს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია.

## სომხეთა ცხოვრება

◆ **სომხურ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა** კრება 5 ივნისს დასრულდა. კრებამ შეიმუშავა ახალი პროგრამა სამრევლო სკოლებისთვის. არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა, საბოლოო რედაქცია გაუკეთოს კრებაზე აღძრულ საკითხების გამო მიღებულ რეზოლიუციებს.

◆ **სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოების 30 წლის არსებობის აღსანიშნავად** საპენსიო კასა არსდება სამრევლო სკოლების დამსახურებულ მასწავლებელთათვის.

—

**შეცდომების გასწორება:** გუშინდელ №-ში კ. მაყაშვილის ლექსში გამოტოვებულ იქმნა უკანასკნელ (9) ტაეპის მეხუთე ჰწკარი, სახელდობრ: „უსაზღვრო მწუხარებისა". ისე რომ, მთელი ტაეპი ასე უნდა იყოს:

და თუ ზამბახმა დახარა
ლამაზი თავი პატარა,
თუ მის ფურცელმა დაღვარა
ცვარ-ცრემლი მუდარებისა,
უსაზღვრო მწუხარებისა,
იცოდეს—განშორების ჟამს,
უკანასკნელი კოცნის წამს,
მის სიტკბოს და მის მწარე შხამს
იგონებს ლახვარ სობილი
გული შუაზე პობილი!..

—

ჩვენი გაზეთის № 318-ში მოთავსებული გვქონდა **საპოლიციო ცნობები მგალობლიშვილის შესახებ, რომ მას ბრალდება 132000 მანეთ. გა**ტაცება, როგორც დანამდვილებით გავიგეთ მგალობლიშვილს ეს კი არ ედებოდა ბრალად, არამედ ის, რომ მან იცოდა ეს საქმე და არ შეატყობინა სადაც ჯერ არს. მგალობლიშვილი პირველ ინსტანციაში ოლქის სასამართლოს გაუმართლებია, მხოლოდ საქმე ეხლა პალატაში ირჩევა ბრალმდებლის სააპელაციო პროტესტის გამო.

## მასწავლებელთა კრების საყურადღებოდ

ამ მიმდინარე თვეში იწყება მასწავლებელთა კრებები ტფილისის გუბერნიაში სამს ადგილას: ტფილისში, თელავში და ახალციხეში. კრებების საკითხებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსულის ენის სახელმძღვანელოების არჩევას. სწორედ ამ საგანზე გვწადიან შევაჩეროთ მასწავლებელთა ყურადღება ამ ჟამად.

განათლების სამინისტრომ უკანასკნელ წლებში მასწავლებელთა უფლება სახელმძღვანელოების ამორჩევის შესახებ ცხადად გააფართოვა. წინად სახელმძღვანელოს მოწონებას სამი ხარისხი ჰქონდა: Допущеніе, одобреніе და рекомендація. უკანასკნელი ხარისხი მოწონებისა თითქმის სავალდებულოდ ჰხდიდა მასწავლებლებისათვის ამ სახელმძღვანელოს ხმარებასა; ხუთის წლის წინად სამინისტრომ გააუქმა მეორე და მესამე ხარისხი მოწონებისა და დასტოვა მხოლოდ პირველი ხარისხი — Допущеніе. სამინისტრომ ამითი ააშორა თავიდან მასწავლებლებს ყოველგვარი იძულება და მიანიჭა მათ სრული უფლება აირჩიონ შეწყნარებულ სახელმძღვანელოთა შორის ის, რომელსაც საუკეთესოდ იცნობენ.

საგანგებოდ ქართულ სკოლებისათვის ზედ-გამოჭრილია რუსული სახელმძღვანელო გ. იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово", ორ-ნაწილად და ორ წიგნად გამოსული მეთოდიური სახელმძღვანელოთი მასწავლებელთათვის. ამ ჩვენებურს სახელმძღვანელოს მჭიდრო კავშირი აქვს ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან, ქართულ სახელმძღვანელოებთან, რასაც ჭეშმარიტი პედაგოგიური მოსაზრებანი მოითხოვენ, იპყრობს სრულ კურს პირდაპირი რუსული წერისას და აუქმებს საჭიროებას ცალკე რუსული დედნის შექმნისას. ეს სახელმძღვანელო მოწონებულია ქართული სკოლებისათვის, როგორც საერო სამოსწავლო მთავრობისაგან, ისე უწმინდესი სინოდისაგან. კავკასიის სამოსწავლო ოლქის რეცენზენტმა გ. კრუპენიკოვმა, რომელსაც საზოგადო განათლებასთან ერთად დასრულებული აქვს სრული კურსი პედაგოგიური განათლებისა, ოფიციალურ მოხსენებაში იმავ თავით აღიარა იგი ერთად-ერთ კავკასიურ სახელმძღვანელოდ რუსულის ენისა და ღირსად სცნო უმაღლესი ხარისხის მოწონებისა, რეკომენდაციისა, „ფილოლოგიურმა ბიბლიოთეკამ", რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში და რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო პროფესორები უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო აკადემიის წევრები. ასეთი აზრი დაბეჭდა თავის ფურცლებზედ ხელმოწერილი თვით რედაქტორისაგან: „Рѣдко можно встрѣтить среди массы руководствъ, составленныхъ для инородческихъ школъ такой прекрасный и талантливо составленный учебникъ, какъ трудъ г. Гогебашвили". ყაზანის პედაგოგიურს ჟურნალში „Начальное обученіе" რუსის ცნობილმა პედაგოგმა დერევინმა მაღლა დააყენა ეს ჩვენებური სახელმძღვანელო ყველა სხვა „ინოროდცებისათვის" შედგენილს სახელმძღვანელოებზედ და დასძინა: „Русское слово" г. Гогебашвили является въ настоящее время единственнымъ руководствомъ, составленнымъ согласно требованіямъ новѣйшей педагогики и методики".

რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა ზოგიერთა პოლიტიკანების მხრივ ჩვენებური „Рус. Сл." ძლიერ გავრცელებულია სკოლებში და აი ამისი უტყუარი ფაქტი: როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ თვით გამომცემლისაგან წინა წლებში იყიდებოდა ყოველწლივ მხოლოდ 12000 ეკზემპლიარი „Рус. Сл."-სი, შარშანკი ორჯერ დაიბეჭდა: ერთხელ გაზაფხულზედ და ერთხელაც შემოდგომის გასულს თორმეტ-თორმეტი ათასი, ე. ი. ოცდა ოთხი ათასი.

ხმები ისმის, რომ მასწავლებელთა კრებებზედ თავს იჩენს ხრიკები „Русское Слово"-ს წინააღმდეგ ზოგიერთა პოლიტიკანების წყალობით და ერთის ქართულად მუნჯის კონკურენტის მეცადინეობით. სრული იმედი გვაქვს, რომ მასწავლებლები ამ ყოვლად უსამართლო და მავნებელს ხრიკებს გააქარწყლებენ, რითაც სავსებით დაიფარავენ ჩვენი ნორჩი მოზარდ თაობის ჭკუა-გონების განვითარებას ხიფათისაგან.

რა თქმა უნდა, ყოველი ჭეშმარიტი მასწავლებლის წმინდა მოვალეობას შეადგენს ასე მოიქცეს.

**მასწავლებელთა ჯგუფი.**

## ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის

### ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების კრება.

კრება თავ. პ. ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა 12 საათზე. თავმჯდომარეს წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების გარდაცვლილ წევრებს: კ. ტურიაშვილისას და კ. თულაშვილის ხსოვნას. მდივანი კითხულობს ანგარიშს, მაგრამ ზოგიერთნი წინააღმდეგნი არიან დამტკიცებისა, რადგან არ შეუძლიანთ ყველა საკითხების ერთად განხილვა-გადაწყვეტა. ზოგიერთი ადგილები გაუგებარია და ამიტომ სთხოვენ განმარტებასა. ჯორჯაძე, თუმანიშვილი და ცხვედაძე განმარტებას აძლევენ. კითხულობენ, წინა წლებში მეტ მეცადინობას რად იჩენდნენ მოწაფენიო?

**გ. რცხილაძე.** აქ ამბობენ, ვითომ 1905, 6, 7 წლებში, შედარებით უკანასკნელ წლებთან, კლასიდან-კლასში მეტი რიცხვი მოწაფეებისა გადასულა და ეგ იმის დასამტკიცებლად მოჰყავთ, რომ მაშინ მასწავლებელთა შედგენილობა იყო უკეთესიო. ეგ შემცდარი აზრიაო, სთქვა მან. თუ მაშინ მეტი რიცხვი გადადიოდა, ეგ იმიტომ, რომ იმ არეულ-დარეულ მდგომარეობაში მათ უფრო შეღავათით ექცეოდნენო. გ. ამირეჯიბი და ვ. რცხილაძეც ეკითხებიან ზედამხედველ კომიტეტს, რით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც მასწავლებელთა ჯამაგირი 1200 მანეთიდან 900-დე ჩამოიყვანეს. ეგ მოხდა მოფიქრებით და მოსაზრებით, თუ საიდანმე ზევიდან იყო რამე იძულებაო.

**ცხვედაძე.** განმარტავს, რომ არავითარი გავლენა არსაიდან არ იყო, ეგ ჩვენ გადავწყვიტეთ და ამ რიცხვზე კი ერთი მხრით შემთხვევით შევჩერდითო. უწინ მასწავლებლები გადაჭრილ ჯამაგირს იღებდნენ და ახლა კი გადავწყვიტეთ გაკვეთილების რაოდენობის მიხედვით ეძლეოდეთო.

**ვ. რცხილაძეს** უკვირს, რომ გაკვეთილების რიცხვი გაუმრავლებიათ და ამავე დროს ჯამაგირი დაუკლიათ. შემდეგ იგი ეკითხება, ვის ექნება ძველებური ჯამაგირი და ვის ახლად დაწესებული წესითო. უწინ დაბალ კლასების მასწავლებლებს თანასწორი მოვალეობა ჰქონდათ გიმნაზიურ კლასების მასწავლებლებთან. ისინი ვალდებულნი იყვნენ გაკვეთილების გარდა აღმზრდელთა მოვალეობაც ესრულებინათ, ახლა კი თქვენ ამ უკანასკნელისაგან მასწავლებლებს ათავისუფლებთ, ჯამაგირი კი უფროს კლასების მასწავლებლებს ისევ ძველებური რჩებათო.

**ვ. რ. ყიფიანი და ნ. ზ. ცხვედაძე** განმარტავენ, რომ ახლა აღმზრდელთა მოვალეობას ცალკე აღმზრდელები ასრულებენო. ჯამაგირის შემცირებაზე კი მხოლოდ გაკვრით მოიხსენიეს ფულის უქონლობის მიზეზი, თორემ საერთოდ არ იყო დასახელებული, რით ხელმძღვანელობდნენ ამ შემცირებაში.

**ვ. ყიფიანი.** მომხრეა იმისა, რომ მასწავლებლების დანიშვნის უფლება ზედამხ. კომიტეტს ჰქონდეს, რადგანაც თუ საზოგადოება ირჩევს თავის სანდო პირთ ამ კომიტეტში, ეგ იმის თავდებიც უნდა იყოს, რომ ისინი მოახერხებენ კარგ მასწავლებელთა არჩევასაც. მასთან ესენი საპატიო თანამდებობაა და არა ჯამაგირიანი და, მაშასადამე, აქ მხოლოდ საქმის ინტერესია და არა რამე პირადი ანგარიშები. პედაგოგიური საბჭო კი ყოველთვის არ შესდგება ასეთ უანგარო და საუკეთესო ელემენტებისაგან და იქ უფრო ადვილია ანგარიშიანობა საქმეს ავნოს. ასე რომ პედაგოგებისგან მასწავლებლის არჩევა არ არის სასურველი. იგი მასთანვე წინააღმდეგია, გიმნაზიის გამგე სრული უფლებიანი წევრი იყოს ზედ. კომ-სა. წესდებით კომიტეტში შვიდი კაცია და ეგეც რომ მიუმატოთ, ხომ რვა იქნება, და ეს კი შეუძლებელიაო.

**ი. რატიშვილი** ეკითხება, რამ აიძულა კომიტეტი, რომ თანდათან ისევ ძველ წესს დაუბრუნდნენ მასწავლებელთა ამორჩევის საქმეში, მასწავლებელთა არჩევის საქმეს ვერ დავაკისრებთ ვერც პედაგოგიურ საბჭოს და ვერც კომიტეტს. აქ ზომიერებაა საჭირო. უნდა ავირჩიოთ საშუალო წესი, როგორც ყველაზე უმჯობესი.

**თ-დ დ. გ. ჯორჯაძე** (გამგე კომ. წევრი) აცხადებს, რომ პირადად იგი წინააღმდეგია კომიტეტის უმეტესობის გადაწყვეტილების: მასწავლებელი მისგან ინიშნებოდეს. იგი ჰკითხულობს რამდენიმე მუხლს პოლტავის თ-აზ. გიმნაზიის წესდებისას, რომლის ძალით დირექტორსა და პედაგოგიურის საბჭოს აქვს უფლება მასწავლებლის მოწვევისა. იგი უფრო ახლო სდგას სწავლის საქმესთან, იგი უკეთ იცნობს მასწავლებლებს და ეგ მათი საქმე უნდა იყოს.

**ი. რატიშვილი.** დიდი უსამართლობა იქნება, უცებ გამოუცხადოთ ძველ მასწავლებლებს ჯამაგირს გიმცირებთო. მასთან ახლებიც სხვა გიმნაზიებზე და სასწავლებლებზე მომეტებულად უნდა დააჯილდოვოთ, თორემ კარგი ძალები არ გაეკარებიან თქვენს გიმნაზიას, რადგანაც აქ საზოგადოების სამსახურია, მაგრამ მათი მომავალი სრულიად არ არის უზრუნველყოფილიო.

**გრ. რცხილაძე.** იმ საკითხს, თუ ვინ უნდა ირჩევდეს მასწავლებელს, ასე ვთქვათ, ნდობის ნიადაგზე აყენებს. თუ საზოგადოება ან ზედ. კომიტეტი ენდობა მის მასწავლებლებს, თუ მათთვის მიუნდვია აღზრდის საქმე, მაშ მასწავლებელთა არჩევა მათ უნდა ანდონო. რაც შეეხება ჯამაგირებს შეუძლებლად მიაჩნია ერთ და იმავე დაწესებულებაში, ერთ და იმავე საქმისათვის ჯამაგირი სხვა და სხვა პრინციპზე იყოს. თუ მაინცა და მაინც უნდა დრო დაინიშნოს, რის შემდეგაც ჯამაგირი ყველას ერთნაირად პრინციპით უნდა დაენიშნოს. შემდეგ, იმის შესახებ, ჰქონდეს თუ არა გიმნაზიის გამგეს გადამწყვეტი ხმა ზედ.კომ—ში, ორატორის აზრით არ არის მაინცა და მაინც დიდმნიშვნელოვანი. ეგ თანამდებობა შემაერთებელია ორი კოლეგიისა: პედ. საბჭ. და ზედ. კომ. იგი აცნობებს საბჭოს კომიტეტის გადაწყვეტილებას და აგრედვე ამ უკანასკნელს პირველისას და ამისათვის არ არის აუცილებელი საჭირო გადამწყვეტი ხმა.

**ა. გ. ჯაბადარიც** წინააღმდეგია მასწავლებელი ზედ. კომიტეტის მიერ ინიშნებოდეს. წესდების მიხედვით კომიტეტს არ აქვს უფლება პედაგოგიურ საბჭოს სამოსწავლო საქმეებში გარევისა. დირექტორი, რა თქმა უნდა, პასუხის მგებელია მის წინაშე, მას იგი შეუძლია, როდესაც მოინდომებს, დაითხოვოს და სხ. მაგრამ რაკი მისთვის ჩაგიბარებიათ მმართველობა, თუ მის საქმეებში ჩაერევით, მხოლოდ ხელს შეუშლით. კომიტეტს უნდა ჰქონდეს მხოლოდ უმაღლეს კონტროლის უფლება.

**ვ. ყიფიანი.** ეთანხმება ჯაბადარს იმაში, რომ გიმნაზიის გამგეს ფართო უფლებები მიენიჭოს, მხოლოდ დასკვნაში ძირითადად ეწინააღმდეგება. იგი ვერ ჰხედავს მისი უფლების შეზღუდვას არსებულ მდგომარეობაში. უმთავრესი საქმე, კანდიდატის დასახელება, ისევ იმის ხელშია, ჩვენ, ზედ. კომ. მხოლოდ დასტურს ვაძლევთო.

**ვ. ვაჩნაძე.** სრულიად წინააღმდეგია ეს საკითხები ამ კრებაზე ირჩეოდეს, რადგანაც იგი ზედ. კომ. უფლებების ფარგლებში შეჰრაა. ვინ მოიწვიონ მასწავლებლად, რამდენი ჯამაგირი მისცენ, ეს კომიტეტისა და საბჭოს შინაური საქმეა და ამ კრებაზე ამაზე არ უნდა ვილაპარაკოთო.

**ვ. რცხილაძე.** ეს კრება პატრონია გიმნაზიისა და ნება აქვს ყოველნაირი საკითხი აღძრას და განიხილოს, თუ ეს საკითხი წესდებას არ ეწინააღმდეგება. თუ თქვენ გინდათ ისეთი საკითხი გადასწყვიტოთ, რომელიც წესდებას ეწინააღმდეგება, მაშინ ჯერ წესდება შესცვალეთ.

**ი. რატიშვილი.** ორივე ჯგუფი უნდა მორიგდეს. ზედ. კომ. უნდა შერჩეს მთელი თავისი უფლებები და მასთან გიმნაზიის გამგესაც უნდა მიეცეს უფლებები კომიტეტში.

**გ. რცხილაძე.** სასწავლებლებში პოლიციური, არც უფლებრივი ავტორიტეტი არ არის საჭირო. ზედამხედველს უფლება მოწაფეებისა აი მასწავლებლების დათხოვნისა არაფერს შემატებს. საჭიროა ზნეობრივი ავტორიტეტი და არა იძულებითი. პედ. საბჭოს სამოსწავლო ფარგალში შეუზღუდველი უფლება უნდა ჰქონდეს.

**ა. ზ. მდივანი.** არსებული წესდება 80-იან წლებს ეკუთვნის და ძლიერ ჩამორჩენილია წინ-წასულ ცხოვრებას და თანამედროვე პედაგოგიკას. რომელიმე დაწესებულების, ან ჯგუფის შემადგენლობის უვარგისობა არ მოასწავებს მის სრულიად უვარგისობას პრინციპიალურადაც, ან რისამე მიუღწევლობა არ არის მისი უვარგისობის მაჩვენებელი. მართალია ამ რამოდენიმე წლის წინად ვცდილობდით მიგვეღწია დანიშნულ წერტილამდე, მაგრამ მოგვიცდა. მაგრამ მაშინ განა მარტო ეგ ცდა მოსცდა! განა მარტო ამაში შევცდით, მარტო ამაში მოვსტყუვდით! რომელი თქვენგანი არ შესცდა მაშინ?

**ი. რატიშვილი** (ადგილიდან) თქვენ პირადად მაშინ სხვას ამბობდით და ლიდერიც იყავით სკოლის ცხოვრების შეცვლის მომხრეთა.

**ა. მდივანი.** პრინციპიალურად მომხრეობა მე არ შემიშლის ზოგიერთი შეცდომები ვაღიარო... დიახ, მაშინ ავჩქარდით, მაგრამ აქედან მაინც არ შეიძლება მასწავლებელთა კოლეგია სრულიად დავუმორჩილოთ ზედ. კომიტეტს. პედ. საბჭომ თუ ბევრი იმედები გაგვიცრუა, არ უნდა გვავიწყდებოდეს მაშინდელი დრო. ის ისეთი აღფრთოვანების დრო იყო, რომ სწორედ მაშინ არ შეიძლებოდა ცდის მოხდენა. რაიცა შეეხება იმ საკითხს, უნდა იყოს თუ არა სკოლის გამგე კომიტეტის წევრიც, მე იმ აზრისა ვარ, რომ უნდა იყოს. ბევრმა შიში გამოსთქვა, ეს მოუხერხებელია, რადგანაც შეიძლება კომიტეტში ისეთი საკითხები ირჩეოდეს, რომლებიც თვით გამგეს შეეხება, და გამგე კი სხდომიდან არ წავიდესო. ბატონებო, მე ეს თქვენ მიერ არჩეულ კომიტეტის დამამცირებლად მიმაჩნია. ნუ თუ კომიტეტის წევრებს ისე უყვართ თქვენგნით ჩაბარებული საქმე, რომ სიმართლეს ვერ იტყვიან მარტო იმიტომ, რომ იქ თვით გამგე იჯდება? არა, ეს წარმოუდგენელია და ამიტომ, მეც ეს საბუთიც უსაბუთოდ მიმაჩნია.

კამათის შემდეგ თავმჯდომარემ განუმარტა კრებას ინსტრუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენა, რომელშიაც ზემოდ-მოყვანილი დებულებებია განვითარებული, კომიტეტის საქმეა და ამიტომ კრებას ვერ შეუძლიან იგი შესცვალოს.

კრებაც ამითი გათავდა.

## ქუთაის. ბანკ. რწმუნებულთა კრება

კრება თავდება კ. ბაქრაძეს სიტყვით ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ. კიდევ 10-ზე მეტი ორატორია ჩაწერილი. კრება რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტ მოუთმენლობას იჩენს, ისე რომ თავმჯდომარეს ზარა ძალა-უნებურად ენერგიულად მოქმედობს.

თ-დი ბეჟან წერეთელი (გამგეობის წევრი). ჩვენ ბრალსა გვდებენ, ვითომ ჩვენ მოიჯარადრეებს არ დავავალეთ პირობა შეესრულებინათ. ამის შესახებ მე რამდენჯერმე მივმართე მოთხოვნით მოიჯარადრეებს და როცა პასუხი არ გამცეს, მივმართე ქალაქის გამგეობას და პოლიცმეისტერს დახმარებისათვის და გადასახადები თითქმის გავანახევრებინეთ, რაც შეეხება სახლების შეკეთებას, აქაც მივიღე ზომები და იმედი მაქვს, ესეც მოხერხდება. თუ არ ინდომებენ, მაშინ ჩვენ ხელთ მათი ბე 6000 მ.

მგელაძის შესახებ იმეორებს იმას, რაც წინა დღით ითქვა.

29 მაისს ორი სხდომა მოხდა, მაგრამ კრება მაინც ვერ გასცილდა ბანკზე დარჩენილ მამულებს. ეს ადვილი გასაგებიცაა. ეს მამულებია, რომ ბანკს ძირს უთხრის, თორემ სხვაფრივ, კაცმა რომ მართალი სთქვას, მისი საქმე წარმატების გზაზეა დამდგარი.

გამგეობისა და ზედამხედველ კ—ის მიერ წარმოდგენილი პროექტი ინსტრუქციისა ამ მამულების მართვა-გამგეობის შესახებ, ერთი შეხედვით თითქო აკმაყოფილებს კაცს, მაგრამ არსებითად მრავალი შენიშვნა გამოიწვია. კრება ვერ შეურიგდა იმას, რომ ტფილისის მამულების გამგეობა ჯერ ერთი გამგეობის მიერ წარმოდგენილი და ზ. კ—ტის მიერ დამტკიცებულ ვალს პირდება და მეორე ის, რომ ამ გამგესა და მის თანაშემწეებს ჯამაგირის მაგივრად შემოსავალის ნაწილი ეძლევა, რომელიც არ უნდა აღემატოს 20%. ამ კითხვას დასტრიალებს კრება და ვერაფერი დასკვნა ვერ გამოიტანა. ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

### 30 და 31 მაისი.

დასრულდა როგორც იქნა კამათი ბანკის დარჩენილი მამულების მართვა-გამგეობის შესახებ.

თავმჯდომარე კრებას წინადადებას აძლევს გამოსთქვას აზრი—საჭიროდ მიაჩნია ბანკზე დარჩენილი მამულები იჯარით გაიცეს თუ არა. კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

მეორე კითხვა. მამულების გამგეობა ჩაჰბარდეს დამოუკიდებელ გამგეს, თუ გამგეობის წევრს. უკანასკნელი კომბინაცია მიღებულია.

მესამე კითხვა—ვინ ნიშნავს გამგეობის წევრის დამხმარე გამგეებს—მარტო გამგეობა—თუ გამგეობა და ზ. კ—ტის დადასტურებით?

ამ კითხვის გადაწყვეტა გადაიდო იმ დროისთვის, როცა კრება განიხილავს მოხსენებას წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. უნდა განვიხილოთ საკითხი, როგორ გავანაღდოთ ჩვენზე დარჩენილი მამულები. ვთხოვ გამგეობის თავმჯდომარეს შეგვატყობინოს რა პირობით ნაღდდებოდა აქამდის მამულები.

თ-დი მ. ფალავა. 5,000 მანეთამდე გამყიდველს ეძლეოდა 2%, 10,000 მანეთამდე—1% და თუ ზედმეტ ფასად გაიყიდებოდა მყიდველს ეძლეოდა ½%; ხოლო თუ მოგებით იყიდება მამული, წინად გამყიდველს 25% ეძლევოდა და შარშანდელს აქეთ ეს % შემცირდა 10%. ამასთან კრებას უნდა ვაცნობო, რომ საპროცენტო ჯილდო ეძლევოდა როგორც კი ნასყიდობა შესდგებოდა; ასეთ პირობებში ბანკი ხშირად ზარალობდა, ამიტომ შემომაქვს შემდეგი წინადადება; მოგებიდან გამყიდველს მიეცეს 25%, სასყიდლად გამყიდველს რა ფასის მამული უნდა გაყიდოს მიეცეს—1½%, ხოლო საპროცენტო ჯილდო გამყიდველს მივცეთ იმ შემთხვევაში თუ მყიდველი იმდენ ფულს შემოიტანს, რომ საპროცენტო ჯილდოს აღემატება. ბანკში მოსამსახურეებს იმნაირივე უფლება უნდა მიეცეთ მამულების გაყიდვისა, როგორც გარეშე პირთ.

გამგეობის თავმჯდომარის წინადადებას კრება ღებულობს.

კრების დახურვამდე კრებას მოხსენდა ტფილისის მამულების გამგედ ნამყოფ ალ. გ. ერისთავის მამის გიორგი ერისთავის განცხადება, რომლითაც იგი კისრულობს წვრილ-წვრილად გადაიხადოს მის შვილის ვალი.

### 31 მაისის სხდომა.

ოქმის დამტკიცების შემდეგ, კრებას ხსენდება საყურადღებოდ მოსამსახურეთა საპენსიო კასის წლიური ანგარიში.

განსახილველია საკითხი საპენსიო კასის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარე აფთხილებს კრებას, ცვლილების შეტანა შეიძლება მარტო მოსამსახურეთა თანხმობით.

თ-დი ს. მიქელაძე (ზ. კ-ტის წევრი). მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდების შეცვლის საკითხი სამის წლის წინად აღიძრა რწმუნებულთა კრებებში, ხოლო მიზნად დასახული იყო მოსამსახურეთა უფლების შესაზღუდად. კომისიამ შესაფერი ცვლილება შეიტანა წესდებაში, მაგრამ მინისტრმა არ დაამტკიცა. წარსული წლის განმავლობაში თვით მოსამსახურეებმა შეიტანეს ცვლილება წესდებაში, მაგრამ არსებითად იგი შეცვლილი არ არის.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. ვთხოვ ზ. კ—ტის წევრს თ-დ მიქელაძეს გააცნოს კრებას ის ცვლილებანი საპენსიო კასის წესდებისა, რომელნიც განზრახული ჰქონდა ზ. კ—ტს და ისიც, თუ რა ცვლილება შეაქვთ თვით მოსამსახურეებს.

თ-დი მიქელაძე. ზ. კ—ტის ცვლილება უმთავრესად ეხებოდა პენსიის რაოდენობას; ჩვენ ვითხოვდით პენსიის შემცირებას და სხვათა შორის ისიცა გვქონდა მხედველობაში, რომ ტფილისის ბანკის წესდება 30 წლ. სამსახურისათვის ჯამაგირის 65% და ჩვენი წესდება-კი—100%.

მოსამსახურეთა მიერ შეტანილ ცვლილებას არსებითად არავითარი გავლენა არა აქვს ბანკის პასუხისმგებლობაზე ამ უკანასკნელის შემცირების მხრით. სხვათა შორის ცვლილება ეხება ისეთ მოსამსახურეს, რომელსაც 30 წ. უმსახურნია. მას ჯამაგირის გარდა სრული პენსია ეძლევა.

კ. აბაშიძე. მაგისთანა მოსამსახურე ბევრია?

თ-დი ს. მიქელაძე. ერთია—ბ-ნი ო. სვანიძე.

კიტა აბაშიძე. მაშ ბ-ნ სვანიძეს ეგ ცვლილება თავისთვის შეუტანია.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. მდგომარეობა გამორკვეულია. წესდების შეცვლა შესაძლებელია მარტო იმ შემთხვევაში, თუ ამის თანხმობას მოსამსახურენი გამოაცხადებენ.

თ-დი მ. ფალავა. თ-დი სოლომონ მიქელაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ვითომ მოსამსახურეებმა არსებითი ცვლილება არ შეიტანეს—უსაფუძვლოა. ამნაირი ცვლილება შეტანილია.

თ-დ ს. მიქელაძეს (ზ. კ-ტის წევრი) მოჰყავს ორი მუხლი წესდებისა, რომლითაც მოსამსახურეების უფლება გაფართოვებულია.

კიტა აბაშიძე. ერთი რამ უნდა გვაფრთხილებდეს — ის მიზანია ჩვენი სწავლა-განათლების საქმე, რომელიც იყო პირდაპირი დანიშნულება აქაური და ტფილისის ბანკებისა. ჩვენ საქმეს ბევრი რამ უშლის ხელს და საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ

მიიღება ხელის მოწერა

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

„ჩვენი საზოგადოებრივობა“.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტური წერილები, წინა იტყვაობით და ავტორის სურათით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვ. და 1 ივლისამდე ვინც ხელს მოაწერს მათთვის ეღირება 40 კ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის“ რედაქციაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს.

(20—1326—1)

ფინანსთა მინისტრმა აგვიკრძალა ავანსების გაცემა ქართული გიმნაზიის შესანახად, თუმცა სხვა საქმეში იგივე მინისტრი არ გვაბრკოლებს. მოსამსახურე უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ეს მართალია და ამის წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ თუ მოსამსახურის უზრუნველყოფა იქამდის მიგვიყვანს, რომ პირდაპირ მიზანს ბანკი ვერ მიაღწევს, მაშინ თვით დაწესებულების არსებობასაც აზრი ეკარგება. მოსამსახურეებს ვეუბნებით, ჩადექით იმავე პირობებში, როგორშიაც არიან ტფილისის ბანკის მოსამსახურეები. ისინი უარს გვეუბნევიან და იქამდის მიგვიყვანენ, რომ შეიძლება არც ერთი ჯამაგირი არ დავამტკიცოთ. მე მგონია თვით მოსამსახურეებმა უნდა შეიგნონ ეს გარემოება.

ალ. კრონიძე. არ მჯერა, რომ ყოველ მოსამსახურეს არ ესმოდეს, რომ საპენსიო კასა ბანკის შემავიწროებელი დაწესებულებაა. წინადადება მივცეთ მოსამსახურეებს დაკმაყოფილდნენ საბოლოოდ პენსიისათვის ჯამაგირი 65%, ამისათვის ამ საკითხის განხილვა გადავდოთ ზეგამდე, მოსამსახურეებმა იქონიონ მსჯელობა ამ საგანზე და თავისი გადაწყვეტილება სმეტის განხილვამდე გვაცნობონ.

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. წინადადება მიეცეთ მოსამსახურეთ, მიმდინარე კრების განმავლობაში, მსჯელობა იქონიონ და წესდება შესცვალონ თანახმად ტფილისის ბანკის მოსამსახურეთა წესდებისა.

თ-დი მ. ფალავა. ეგ ძალადობაა. პრინციპიალურად თანახმა ვარ მაგვარი გადაწყვეტილებისა, მაგრამ ვადის დადება შეუძლებელია...

თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. იქნება არსებითად თ-დი ფალავა მართალი იყოს, მაგრამ თუ კრება ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს გამოწვეული იქნება გამგეობის მოქმედებით, რომელმაც ორი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მიიღო ინიციატივა, რომ მოსამსახურეთა კასის წესდება შეცვლილიყო.

თ-დი მ. ფალავა. თავმჯდომარე კრებისა აგიტაციას ეწევა კრებაში გამგეობის წინააღმდეგ... ასეთი მოქმედება შეუწყნარებელია ..

ხმაურობა, ყვირილი, შეუძლებელია გარჩევა გარჩევა იმისი, ვინ რას ამბობს...

თავმჯდომარე კრებას ხურავს.

### კრება 1 ივნისს დილით.

წინა დღის ოქმის დამტკიცების შემდეგ, განსახილველად დაყენებულია საკითხი გადასახადების შემცირების შესახებ.

თ-დი მ. ფალავა. ამ კითხვის აღძვრა იმან გამოიწვია, რომ ჩვენსა და ტფილისის ბანკების რაიონებში ოპერაციების ნებას აძლევდა მთავრობა დონის სადგილ-მამულო ბანკს და როცა ჩვენის თხოვნით კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დონის ბანკს ოპერაციების ნება არ დართო, ჩვენ წინადადება მოგვცეს რომ გადასახადები შეგვემცირებინა იმ ზომამდე, რამდენადაც დონის ბანკსა აქვს შემცირებული.

თ-დი იას. გედევანი. ვემხრობი აზრს გადასახადების შემცირებისას, მით უმეტესად ჩვენ იძულებული ვყოფილვართ, თუ, რასაკვირველია, ეს ჩვენის მოგების რაოდენობაზე არ იქონიებს გავლენას.

იოს. ოცხელი. მე მინდა გავიგო, შეეკითხა თუ არა ჩვენი ბანკის გამგეობა ტფილისის ბანკს, რას აპირებს იგი ამ საგნის შესახებ.

თ-დი მ. ფალავა. ჩვენ გადასახადების შემცირება სავალდებულოდ ჩავთვალეთ, რადგან უამისოდ იმისა შიში მოგველის, რომ დონის ბანკს ჩვენს რაიონში მოქმედების ნებას მისცემენ. არ ვიცი ტფილისის ბანკი რას ფიქრობს ამ საგნის შესახებ, მაგრამ მგონია იმისთვისაც სავალდებულოა.

კრება ეთანხმება გამგეობის მოხსენებას გადასახადების შემცირების შესახებ.

განსახილველია ზედ. კ-ტის წინადადება, რომ ბუღალტერი და მამულების გამგეობა ირჩეოდეს გამგეობისა და ზ. კ-ტის შეერთებული სხდომის მიერ. მცირე კამათის შემდეგ საკითხის გადასაწყვეტად დაიდგა ორი ყუთი. რადგან ამ წინადადების მიღებას ბანკის წესდების მუხლის შეცვლა უნდა მოჰყვეს, საჭიროა ⅔ დამსწრე რწმუნებულთა ხმებისა.

კრებამ უარი ჰყო:

ბუღალტერის მოწვევა ზ. კ-ტის და გამგეობის შეერთებულ სხდომის თანახმად 56 ხმით წინააღმდეგ 49 ხმ. სა, ხოლო გამგეობისა 55 ხმით წინააღმდეგ 50 ხმისა.

(შემდეგი იქნება)

## ანგარიში

### ქ. ზ. წ-კითხ. გამავრცელებელ საზოგ. ხონის განყოფილებისა.

ამ დღეებში გამოვიდა წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების ანგარიში 1910 წ. მოგვყავს მოკლე ცნობებს, რომელიც განყოფილების მოქმედებას დაგვიხასიათებს.

1910 წ. შემოსავალი ჰქონია სულ 935 მან. და 41 კაპ. დახარჯულა სულ 381 მ. 59 კ., საზოგადოებას ქონება, სესხად გაცემული და ნაღდად დარჩენია 553 მან. და 82 კ. განყოფილებას ჰქონია წიგნებისა და საკანცელარიო მაღაზია, რომლის ქონებაც 1910 წ. 1 იანვარს, მთელი ინვენტრით ყოფილა 1041 მან. 47 კ. საანგარიშო წლის განმავლობაში მაღაზიას შეუძენია 6,553 მან 61 კაპ. საქონელი, ასე რომ წლის ბოლოს მაღაზიის მთელი ქონება 7,595 მან. 8 კაპ. გამხდარა. წლის განმავლობაში გაყიდულა 5,050 მან. საქონელი, და უნდა დარჩენილიყო 2,545 მან. 8 კაპ., მაგრამ 1911 წ. დასაწყისში 3,328 მან. 50 კაპ. აღმოჩენილა. ამ რიგად მაღაზიას მოუგია 783 მან. 42 კაპ. ე. ი. მთელი დაბანდებულ თანხის 15%. მაღაზიას ხარჯი მოსვლია 317 მან. 44 კაპ. და წმინდა მოგება 465 მან. 98 კაპ. დარჩენია. მეორე წელია რაც მაღაზია მუშაობს. მომდინარე წლის დასაწყისში მისი თანხა ყოფილა 3894 მ. 96 კ.

განყოფილების ხელმძღვანელობით სწარმოებს სამი ბიბლიოთეკა-სამკითხველო: მათხოჯისა, რომელსაც ჰქონია საკუთარი სახლი (ერთი ოთახი), რომელსაც თითქმის არ უმოქმედნია. ნაოდალევის სამკითხველო, რომელსაც ჰქონია საკუთარი სახლი (ორი ოთახი), ჟურნალ-გაზეთები. წლის განმავლობაში ჰყოლია 547 მკითხველი, წლის დასაწყისში წიგნები არა ჰქონია, ხოლო მერე შეუძენია 31 ქართული და 26 რუსული წიგნი. ხონის სამკითხველოს საკუთარი სახლი არა ჰქონია, წლის დასაწყისში ქართული წიგნები ჰქონია 297, რუსული—294; შეუძენია სულ 25 წიგნი.

განყოფილებას უწარმოებია თეატრის საქმეც. 1910 წ. ხონში სეზონი დაწყებულა 20 ივნისს და დასრულებულა 15 მარიამობისთვეს. წარმოდგენები უმართავს სცენის მოყვარეთა ჯგუფს, ტფ. დრამატიულ საზოგადოების არტისტების მონაწილეობით. სათეატრო საქმეს აწარმოებდა სექცია, რომელსაც 14 წარმოდგენა გაუმართავს და შემოსავალი ჰქონია 987 მან. 81 კ. ხარჯი შემოსავალზე 49 მანეთი და 39 კაპეიკით მეტი მოსვლია.

### წერილი ბათომიდან

ამ ოთხი წლის წინად საკუთარ სახლში მოჰკლეს მდიდარი მემამულე, წარმომადგენელი ცნობილ ფირმის „სანცერბახერისა“, გრიგოლ მიხ. დანიელოვი, კაცი ყველასაგან პატივცემული, რომლის მკვლელობამ ააღელვა მთელი ბათომის საზოგადოება განურჩევლად ეროვნებისა; თითქმის მთელი ბათომი მონაწილეთ ხდიდა ამ საზიზღარ მკვლელობაში მეუღლეს და დისწულს განსვენებულ დანიელოვისა ამბარცუმ ბალასანოვს. საქმე აქამომდე მიძინებული იყო. მხოლოდ ამ დღეებში ჩამოვიდა განსვენებულის ძმა, რომელმაც თხოვნით მიჰმართა სადაც ჯერ არს, რომ ამ რომანიულ ხასიათის საქმისთვის კანონიერი მსვლელობა მიეცათ. ამ ხუთი დღის წინად ტფილისიდან ჩამოვიდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი, დააპატიმრა ქვრივი დანიელოვისა და საყვარელი ზემოხსენებული ამბარცუმ ბალასანოვი.

ნ. გ—ა.

## სოხუმელთა შორის

(დასასრული *)

ოცდა ოთხ აპრილს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრთა წლიური კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა მომავალ სექტემბრიდან მოიწვიოს მეორე მასწავლებელი, ჯამაგირად დაუნიშნა 600 მანეთი, ხოლო სანამდის საკუთარ ბინას გაიჩენდეს სკოლა—ბინის ქირად დაუნიშნა თვიურად 20 მანეთი; სკოლის გამგეს კი 720 მანეთი გაუხადა ჯამაგირი. კრებამ სურვილი განაცხადა პირველ სექტემბრამდის ორი საკლასო ოთახი მაინც მომზადდეს. სკოლის შენებას უკვე შეუდგა, ამისთვის საგანგებოდ არჩეულია საამშენებლო კომისია, რომელმაც უკვე საძირკველი ჩაუყარა შენობას ქალაქის მიერ დათმობილ ადგილზე (1326 ოთხკ. საჟენია). საზოგადოებას შენობა დაუჯდება არა ნაკლები 25 ათას მანეთისა. შენობის სიგრძე 55 ალაბი, განი—23 ალაბი,—ხუთი საკლასო ოთახი იქნება, ერთი დიდი ზალა—ტალანი (10¼ × 36 ალაბზე) და სცენა, ხოლო ცალკე მოშენებული იქნება მასწავლებლებისათვის ოთახები. სოხუმელი ქართველობა ისე მეტის მეტად სიყვარულით ეკიდება ამ საქმეს, რომ ახლო მომავალში ჩინებული შენობა ექნება სკოლას, თუ კი მასალის უქონლობამ ხელი არ შეუშალა,—აქ ქვა, კირი, აგური და ხე-ტყე მეტად ძვირია და თან ამ ჟამად ძნელი საშოვარი. გარდა ამისა, კრებამ გამგეობაში 8 ახალი წევრი აირჩია და ამრიგად დღეს გამგეობა შესდგება 24 პირისაგან. საზოგადოდ დიდს ენერგიას და საზოგადო საქმისადმი სიყვარულს იჩენს ადგილობრივი ქართველობა, რაიცა თავდებია საზოგადო საქმეთა კარგად წარმოებისა.

15 მაისს ადგილობრივმა ქართველობამ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების გამგეობის თაოსნობით ჩინებულად გადიხადა ეკატერინე გაბაშვილის იუბილეი. როგორც თქვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, ჩემის აზრით, პატივცემულ მწერლის სახელი მეტად სიმპატიურად აღნიშნა აქაურმა ქართველობამ: სამუდამოდ დააწესა ადგილობრივ ქალთა სკოლაში ქ 6 ეკატერინეს სახელზე ერთი სტიპენდია: ქართულ სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფე-ქალს თავის ხარჯით გადაიყვანენ ქალთა გიმნაზიაში, ხოლო სანამდის სკოლა მოამზადებდეს ბავშვს, ყოველ წლიურად ბავშვებს უნდა დაურიგდეს ეკატერინეს სახელით საყმაწვილო მოთხრობები. იმ დღეს კი ბ. სამურიდის თეატრში „დილა-მეჯლისი“ გაიმართა, რომელიც საზოგადოდ კარგად ჩაატარეს მონაწილეებმა. ვარდ-ყვავილებით მორთულ მის სურათის წინ წარმოსთქვა მეტად მოხდენილი და შინაარსიანი სიტყვა კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულმა ანჩაბაძისამ, მწერლის ბიოგრაფია წაიკითხა თავად შ. დადიანმა, ხოლო კნ. ელო ანდრონიკაშვილმა, ბ. ბ. კობტიამ, ქ. ჩაჩავამ, კაჭარავამ, ა. სანაძემ და მოწაფემ № წაიკითხეს—ზოგმა ნაწყვეტები მწერლის ნაწარმოებებიდან, ზოგმა კი ლექსები. ქართულმა ხორომ ბ. ნ. ურუშაძის ლოტბარობით შესრულა ათზე მეტი ეროვნული სიმღერა. ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო ამ „დილა-მეჯლისს“, რომელიც ლეკურით დაბოლოვდა.

აქვე არ შემიძლია ეგრედ წოდებულ „ქალაქის სამკითხველოს“ გვერდი აუქციო და ორიოდე სიტყვა არ უძღვნა მას. ქალაქს, რომლის წლიური ბიუჯეტი ორას ათას მანეთს გადასცილდება ხოლმე, თითქმის წიგნთ-საცავ-სამკითხველო აღარ აქვს. ამ საპატიო სახელით რაღაც დაუარსებიათ, გარნა ეს რაღაცა ყველაფერია, გარდა წიგნთსაცავისა. შედიხარ სამკითხველოში და წიგნები არსად აღარ არის; რუსული და ფრანგული ძველის-ძველი ჟურნალები მიგრა შებოჭილ-შებორკილი დიდ თაროებზედაა უკანა ოთახში მტვრის სამფლობელოდ დაწყობილი, ხოლო რიგიანი წიგნი არ მოიპოვება არამც თუ ქართულს ენაზე, რუსულზედაც კი. ქართული წიგნი ამ სამკითხველოში სანთლით საძებარია, ისიც დიოგენისა. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ქართველობაა და ქალაქის გამგეობა ვითომდა ქართველთ ხელშია, ამ დაწესებულებას მოსდის ორიოდე რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები და ესაა და ესა. როგორცა სჩანს, დიდი სურვილი ჰქონებია სამკითხველოს გამგეს ბ. ლოლუას როგორმე ქართული წიგნებიც შეეძინა, ამისთვის ტფილისშიაც კი წასულა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან საქმის გამოსაწყობად, გარნა ვერაფერი მოუგვარებია: დაპირებებით დატვირთული გამოუსტუმრებიათ ბ. ლოლუა, ხოლო ვერც ერთი წიგნი ამ მოგზაურობიდან სამკითხველოს არ შესძენია. წიგნები კი მეტად საჭირო და აუცილებელია. ქალაქი იზრდება და მასთან სოხუმს აწყდება ახალი მკითხველები დაბალი წრეებიდან, განსაკუთრებით, ქართველთა, სომეხთა და ბერძენთა წრეებიდან და ვინც თავის ვიწრო ინტერესებს ჯიბისას გასცილებია, მან ეს მოთხოვნილება აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს. ან და ჩვენი ქალაქის მამები მარტო კენჭობანიაობის დროს არიან ქართველნი? სამწუხაროდ ასეცაა, ვგონებ... ასეა თუ ისე, ქალაქს სამკითხველო აღარა აქვს და ისედაც ბნელი კუთხე უფრო ბნელით იმოსება... და ჩვენს ძალად მაცხონეთ ამის მეტი რაღა უნდათ?

თუ როგორი ზამთარი გვეწვია, ეს ყველამ უწყის. თავის შედეგებით ეხლა არა ამაზე ნაკლები ბუნების რისხვა გვეწვია: შუა აპრილიდან საშინელი გვალვაა და მხვნელ-მთესველს ჯერ თესლი არ გაუტანია მინდვრად: დედამიწა ისე გახმა, რომ გუთანი არ ჭკრება, და ის სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. თუმცა შარშან კარგი მოსავალი იყო, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა მიწის მომუშავეს. სიმინდის ფასი დაეცა (თუ დასცეს) და დღეს 50 კაპეიკად იყიდება. ამის მუშტარიც აღარ არის. რა ჰქნას ყოველ-მხრივ შევიწროებულმა მუშამ? რითი გასცეს პასუხი ათასგვარ მოთხოვნილებას? ფიქრობს, ფიქრობს და ამ ჯადოსნურ წრიდან გამოსასვლელი გზა ვერ უპოვნია. უარესს მდგომარეობაში შეთუთუნეც. მაგრამ ამათზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგანაც ამ მოკლე დროში მინდა მათ აუტანელს მდგომარეობას ვრცელი წერილები უძღვნა.

სოხუმელი ჩითრა.

# ალბანეთის აჯანყება

დეპეშები

4 ივნისი.

**კოსოვო.** კოსოვოს ველზე სულთანის ლოცვისა და სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს დიდმა ვეზირმა და სასულიერო პირებმა. წაიკითხეს სულთანის ირადე, რომლის ძალითაც 200 ალბანელს და 127 ბოლგარელს სასჯელი ეპატია და აჯანყებულ ალბანელს, ვინც კი ათი დღის განმავლობაში იარაღს დაჰყრის, ამნისტია ებოძება. ისსა ბოლეტინაცმა სულთანთან პირადად მოიხადა ბოდიში და პატიება ითხოვა. სულთანმაც აპატია.

**ცეტინიე.** აქ ხმები გავრცელდა, აჯანყება იზდება და სკუტარიისაკენ მიიწევს. სკუტარიის მიდამოებში როგორც ამბობენ შალეს თემს ოსმალების სოფელი დაუწვამს. სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, მირიდიტები მდ. დრინის მარცხენა ნაპირზე ყოფილან. უკვე სამი დღეა, რაც ამ ადგილას ბრძოლაა.

5 ივნისი.

**ცეტინიე.** მირიდიტელები ძალიან დამარცხდნენ. მათი უმთავრესი ძალები დაქსაქსულია. დროებით მთავრობის პრეზიდენტი ტერეცროტკოი ჩერნოგორიას გაიქცა.

**გაზეთებიდან.**

ჩრდილოეთის ჯარმა დიდი ბრძოლის შემდეგ სოფ. სელცეს მაღლობის ალება მოახერხა. ეს ძალიან მარჯვე ადგილია. უკანასკნელ იერიიშის მისატანად სამხრეთის ჯარმა კაბა-ბროშას სიმაღლე აიღო და ჩრდილოეთისაკენ წაიწია. ეხლა სცდილობს შეუერთდეს იმ ჯარს, რომელიც ვუკლეზე მიდის; როგორ იქცევა აჯანყებულთა აღმოსავლეთის ფრთა არავინ იცის. დასავლეთის ფრთა კი სელცესთანა მოქმედობს. საზოგადოდ დარწმუნებულნი არიან, რომ როცა აჯანყებულ მალისორებს ჯარი ყველა პოზიციებს წაართმევს, მალისორების აჯანყება მთლად მოისპობა მას შემდეგ, რაც მირიდიტელები ალესიოს დაესხნენ და მთას შეეფარნენ მათ წინააღმდეგ ჯარი აღარა მოქმედობს, თუმცა მტრის ბანაკამდის დიდი მანძილი არ არის. ამ უმოქმედობას იმით ხსნიან, ვითომც ოსმალებს ახალ შეტაკების გამოწვევა არა ჰსურთ, ვიდრე სულთანი კოსოვოშია.

# უცხოეთი

რამ ააჯანყა მექსიკა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ მექსიკაში ამ ზამთარს დიდი აჯანყება იყო, რომელიც სრული გამარჯვებით დამთავრდა. იციან ისიც, რომ ერი პრეზიდენტ დიასს ებრძოდა და გააძევა, მაგრამ მიზეზი ამ აჯანყებისა კი არ იცოდნენ. არ იცოდა ესეთი მიზეზი ევროპამაც კი. საკვირველი იყო: ხალხი ებრძოდა პრეზიდენტს, რესპუბლიკის მეთაურს, რომელსაც თვითვე ირჩევდა. ეს იყო მიზეზი, რომ ბევრს ეს აჯანყება რაღაც თავხედობა ეგონა. რა საჭირო იყო აჯანყება იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ხალხმა აირჩია. დიასს კი ხალხი 1876 წლიდან მუდამ ერთხმად ირჩევდა, ასე რომ დიასი რვაჯერ იყო ამორჩეული. მექსიკის ცხოვრება შორიდან ბევრს იდილიური ეგონა, შიგ კი არავის ნახვიდა. ეხლა გამოჩნდა ვინმე ჯონ მონტეგიუ, რომელსაც მექსიკაში 10 წელი გაუტარებია, კარგად გასცნობია იქაურ ცხოვრებას და ეხლა ქვეყანას ატყობინებს მექსიკის ნამდვილ ამბავს.

მექსიკა ამერიკის ულამაზესი და უმდიდრესი მხარეა; შეიძლებოდა, რომ იგი ამ ქვეყნიურ სამოთხედ ქცეულიყო, მაგრამ იგი ნამდვილი ჯოჯოხეთია, რადგანაც აქ უუფლებობა და სოციალური საშინელი უთანასწორობა არსებობს. ადამიანის სიცოცხლე არაფრად ფასობს, მექსიკანელთა ერთი მესამედი ყმები არიან, ერთი მილიონი მონები. ამაში ბრალი დიასს და მის თანაშემწეებს აქვთ. ორმოცი წლის წინედ, გენერალი პორფირიე დიასი სამჯერ გამოვიდა საპრეზიდენტო კანდიდატად, მაგრამ სამჯერვე გააშავეს. როცა მისმა მოწინააღმდეგემ ლერდო დე ტეხადამ ეკლესიისა და ჯარის გავლენის დასასუსტებლად კანონები გამოსცა, დიასმა შეთქმულება მოახდინა, მიიმხრო უკმაყოფილო გენერლები, ეპისკოპოსები და გაძარცვილი ყაზადი ჩინოსნები. შეთქმულები ქ. მექსიკოს შეესივნენ, ტეხადა დაატუსაღეს და დიასი დროებით პრეზიდენტად გამოაცხადეს. როცა არჩევნები მოხდა, ხალხმა „ერთხმად" დიასი აირჩია პრეზიდენტად. არჩევნების დროს კი, საარჩევნო ყუთებთან სალდათები იდგნენ, საარჩევნო ბარათებს აფიცრები სთვლიდნენ და დიასიც არჩეული გამოდგა. ამის შემდეგ, ყოველთვის ასე ირჩევდნენ ხოლმე დიასს. 34 წლის განმავლობაში დიასის წინააღმდეგ ხმა ვერავინ ამოიღო. ვინც კი ამას ბედავდა, შავი დღე ადგებოდა. ორმა გენერალმა კორონამ და კრელმა გაბედეს თავიანთი კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ რადაც შემთხვევით ორივე სწორედ არჩევნების წინ დახოცეს. რა წამს დიასი „გამეფდა" მაშინვე კონსტიტუციის „შემოკლებას" შეუდგა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ძალა დიასმა ერთიანად მთავრობას ჩაუყარა ხელში, ასარჩევ თანამდებობაზე, დეპუტატებსაც კი, დიასი ჰნიშნავდა. მოქალაქისა და ადამიანის უფლებები გაუქმებულ იქმნენ. თავის აგრარულ პოლიტიკის ცხოვრებაში გასაყვანად, დიასმა დაარსა სათოფლო პოლიცია და მთელი ხალხი მას ჩაუგდო ხელში. ამას გარდა დაარსა ნახევრად ოფიციალური დაწესებულება „აკორდადე". ამ „აკორდადეში" ციხიდან გამოყვანილი ავაზაკები მსახურებდნენ. როცა მთავრობას არა სასიამოვნო ჟურნალისტი ან პოლიტიკური მოღვაწე გაუჩნდებოდა, „აკორდადეს" შეატყობინებდნენ ხოლმე მის სახელსა და ეს არა სასიამოვნო პირი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა. ამრიგად დიასმა ორი ათასამდის მოწინააღმდეგე მოიშორა თავიდან. თუ ვისმეს ლიბერალობას შეამჩნევდნენ, მთავრობა მას სალდათად წაიყვანდა და კინტანა-როოში ჰგზავნიდა, ეს ადგილი მექსიკაში ყველაზე ცხელი და უჯანსაღოა. აქ ამ სალდათებს ბევრს ამუშავებდნენ, ცოტას აჭმევდნენ ხოლმე და ძნელად, რომ რომელსამე მათგანს ერთ წელიწადზე მეტი გაეძლო. ამ ადგილას რკინის გზაა გაყვანილი, რომელსაც „სიკვდილის ხეივანი" ჰქვიან. მართლაც, და ამ გზის გაყვანის დროს, ყოველ ორ ფუტზე (საჟენის 2/7) თითო კაცი კვდებოდა. როცა ამრიგად ძალა ხელთ ჩაიგდეს, დიასი და მისი თანაშემწეები ნადავლის გაყოფას შეუდგნენ. გაიყვეს 40 მილიონის სუბსიდია, რომელსაც მათ ხაზინა აძლევდა, დაირიგეს მინისტრობა და მამულები. ამ მამულების რიცხვი მილიონებით ითვლება. რომ უცხო სახელმწიფოთაგან მხარი ჰქონოდა, დიასმა უცხოეთის კაპიტალი შეუშვა მექსიკაში, უცხოელებს კონცესიებს აძლევდა და საუკეთესო მიწებს ჩალის ფასად ჰყიდდა. როცა მამულები დააკლდებოდა დიასი დაურიდებლივ ართმევდა მესაკუთრეებს. ინდოელთა თემებს, იაკისა და მაიის უხსოვარი დროიდან დიდძალი მამულები ეჭირათ; დიასმა აჯანყება დააბრალა, ჯარი მიუსია და მამულები წაართვა. მთელი ეს მამული, 100 ათასი კაცის ქონება, დიასმა ერთ გენერალს აჩუქა, როცა ეს მიწებიც დაკლდა, დიასმა წვრილ მემამულეებს ხრიკებით წაართვა და 500 ათასი ოჯახი უსახლოდ დასტოვა. მიწები რომ წაართვა დიასმა და სხვებს დაურიგა, მაგრამ რომ მიწების შემოსავალი არ დაჰკლებოდა, დიასმა საქმე ისე მოაწყო, რომ ხალხი ყმად მოდიოდა. დავალიანებულ კაცს მემამულესთვის უნდა ემუშავა იმ ფასად, რასაც მემამულე შეაძლევდა, მემამულე კი დღეში 25—50 კაპიკს აძლევდა და მოვალე სიკვდილამდის ვერ ამოდიოდა ამ ვალიდან. ეს ბატონყმობა, მაგრამ მონობაც დააწესა დიასმა. მექსიკაში ბევრი ისეთი ადგილებია, სადაც სიცხე, ყუმური და ჭაობიანი მწერები მუშაობას შეუძლებელს ხდის. მუშა იქ თავის ნებით არ მიდიოდა. როცა დიასი მშვიდობიან ინდოელებს „ამშვიდებდა" გადაწყვეტილი ჰქონდა მთლად გაეწყვიტა ისინი. ინდოელის თითო წყვილ ყურში მკვლელს 250 მან. აძლევდა. უცხო სახელმწიფოებმა ეს აუკრძალეს. მაშინ დიასმა იაკის თემი მთლად იუკატანსე (ნახევარ კუნძული) აქ გაასახლა. ჯარს სადაც მოხვდებოდა, იქ იჭერდა. ამ ინდოელებს პლანტატორებზე ჰყიდდა თითოს 15 თუმნად, აქ აუტანელ სიცხით, შრომით და უმსგავსო ცხოვრებით ერთ წელიწადში იხოცებოდნენ, მაგრამ განა მარტო ინდოელებს აძლევდა დიასი მონებად? არც ინტელიგენტს იშურებდა. ველი ნასიონალის ხეობაში მხოლოდ თეთრი მონები მუშაობდნენ, ამ ხეობიდან ცოცხალი ვერავინ ბრუნდებოდა ყოველ წლივ აქ 15.000 კაცი კვდებოდა. მონებად იქ დიასი იმას ჰგზავნიდა, ვინც მის პოლიტიკურ მმართველობას არ იზიარებდა აქ მოყვანილთ ტანისამოსის მაგიერად ტომრებს აცმევდნენ და ღამე კარ-დაკეტილ მყრალ ოთახებში ჰყავდათ: როცა ადამიანს მუშაობით უკანასკნელი ძალა ეკარგებოდა, სცემდნენ და თუ ესეც ვერ გასჭრიდა, ჭაობში გადააგდებდნენ ხოლმე. აი ყველა ამან გამოიწვია რევოლუცია, რომელმაც მალე იმიტომ გაიმარჯვა, რომ მის მხარეს ჯარიც გადავიდა. ჯარიც ხომ იგივე მონა იყო. შეერთებულ შტატების კაპიტალისტებს მექსიკაში დიდძალი ფული აქვთ ჩაყრილი და ამიტომ იყო, რომ შტატების პრეზიდენტმა ტაფტმა მექსიკაში ჯარი გაჰგზავნა, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება მალე შეიტყო და ჯარი უკან დააბრუნა. ტაფტმა განაცხადა, ჩვენ ან სულ არ უნდა ჩავერიოთ მეზობლის შინაურ საქმეებში, ან არა და მექსიკა შტატების მოკავშირედ უნდა გამოვაცხადოთ. ამან კაპიტალისტები ჩააჩუმა. თუ მექსიკა შტატების მოკავშირედ შექმნებოდა, იქ ნაძალადევი შრომაც შეუძლებელი გახდებოდა. ეხლა ამერიკელი ფინანსისტები სცდილობენ ახალ არჩევნებში დიასის ზოგიერთი მომხრე მაინც გაიყვანონ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ფეციდან იტყობინებიან: სულთანმა ისპანიის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა. იმუქრება, იმ სახელმწიფოებთან ვიჩივლებ, რომლებმაც ტრაქტატს ხელი მოაწერესო. ვიდრე ლარაშში ისპანიის ჯარი იდგება, 1910 წლის ხელ-შეკრულებას არ შევასრულებო.

**ათინა.** სტამბოლიდან იტყობინებიან: საბოიკოტო კომიტეტმა დაადგინა, ბოიკოტი გამოეცხადოს არა მარტო საბერძნეთის ქვეშევრდომ ბერძენთ, არამედ ოსმალეთის ქვეშევრდომთაც.

**მონასტერი.** ოსმალები მცხოვრებ აწიოკებენ. გუშინ ფლორინის ყაზაში 6 ბოლგარელი მოჰკლეს.

**ტანჟერი.** 29 მაისს, დილით, საფრანგეთის ჯარი მეკინეთიდან გამოვიდა და სულაიდრისთან დაბანაკდა.

**პარიზი.** ჰავას ლარაშიდან ატყობინებენ, პოლკოვნიკი სილვესტრი 200 კაცით ელკსარისაკენ გაემართა.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ ჩერნოგორიის სურვილი გზების მახლობლად ოსმალების ბლოკგაუსის მოხსნა კანონიერად იცნო. ტერიტორია ჩერნიგორიისაა.

**თეირანი.** საპეხდარის უცაბედად წასვლის მიზეზები შემდეგია: მეჯლისი მას არ ენდობოდა, ზოგიერთი მინისტრი იხრიგანობდა, ოპოზიცია მის წინააღმდეგ ხრიკებს არა ზოგავდა. რეგენტმა მეჯლისს წინადადება მისცა ახალი პრემიერი დანიშნეთო.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიის შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა ოსმალეთთან მშვიდობიანად იყოს, თუმცა ოთხი თვის ომი ურჩევნია, ალბანეთიდან გამოქცეულთა რვა თვეს ჰშვესა. ეს ამბავი ხალხს აღელვებს. რუსული გაზეთები იტყობინებიან, ვითომც ალბანეთის დროებით მთავრობას პროკლამაცია უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის დაურიგებიათ, მაგრამ დანამდვილებით გამოირკვა, რომ პროკლამაცია სახელმწიფოთა წარმომადგენლებს არ მისვლიათ.

**სტამბოლი.** პორტამ დეპეშა მიიღო, ბაიაზეთის მახლობლად რუსებსა და ოსმალელ მოსაზღვრე ჯარს შეტაკება მოუხდათო. მოკლულია ორი ოსმალელი სალდათი. არზრუმის ვალი ამ ადგილას წასულა.

**რ უ ს ე თ ი.**

**ოდესსა.** ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ერთი შავი-ჭირით გამხდარა ავად.

**მოსკოვი.** ქალთა უმაღლეს კურსების შენობის საძირკველი ჩაიყარა.

**ოდესსა.** საერობო კრებამ დაადგინა: გაიხსნას განსამეორებელი კურსები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და შემოღებულ იქმნას ნათესების დაზღვევა სეტყვისაგან.

**ბერდიანსკი.** ღამე მატარებელი ოთხმა ყაჩაღმა გასძარცვა და გაიტაცა საერთაშორისო ბანკის ფული 20.000 მან. ყაჩაღები გაქანებულ მატარებლიდან გადახტნენ და მიიმალნენ.

**ლოძი.** ლოძის რკინის გზის საქარხნო საწყობები იწვის.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ., ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო თავ. გ. ამირეჯიბს, რომ თანახმა ვარ, ჩვენი საქმე სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს, მხოლოდ მედიატორების დასასახელებლად ვითხოვ კიდევ ორ დღეს.

ერთს კი ვიტყვი: ბ-ნმა გრ. დიასამიძემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ის, ვინც აძლევს სხვას პატიოსნებისა და კარგი ყოფა-ქცევის „ატესტატს", თავდებია ამ უკანასკნელისა და პასუხს აგებს, როგორც მის წარსულ ცხოვრებაში, ისე მომავლისაში, და გრ. დიასამიძის წერილს შევინახავ დრომდე საბუთად.

თუ გრ. დიასამიძე სიყრმიდან ისე შესისხლხორცებია გ. ამირეჯიბს, რომ როდესაც გ. ამირეჯიბს სცემენ, გრ. დიასამიძეს სტკივა, მაშ გამარჯვებასაც და დამარცხებასაც, უნდა ვიფიქროთ, შუაზე გაიყოფენ.

ხოლო გაიმარჯვებენ თუ დამარცხდებიან, ამას სამედიატორო სასამართლო გვეტყვის.

ხვ. ყიფიანი.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღნინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
ხ. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ნ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერმანი: 6—6 ს. საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. მ. ზევეხკაპ-ენგელი: 6—6½ ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—53)

მუხრანის ხიდთან
## სამკურნალო
გ ა ი ხ ს ნ ა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.
ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. აბვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან. სნეულებან დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კბლამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—85)

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი
ბ. გიორგი ცქიტიშვილს.
რადგანაც 28 წარსულ მაისს, ს. შორაპანში საკუთარ სახლში თქვენ მე შეურაცხყოფა მომაყენეთ, ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სამართალში, რისთვისაც ჩემის მხრივ ვნიშნავ ბ. თომა ახრახაძეს და ილია ბაქრაძეს. გთხოვთ თქვენ მხრივაც დაასახელოთ მედიატორენი დღეიდან ორი კვირის განმავლობაში.
(2 647—1) ლადო ცქიტიშვილი.

გ ა მ ო ც დ ი ლ ი
= მასწავლებელი =
ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის დაბალ კლასებისთვის და განყოფილებისთვის, სამოქალაქო, სამაღოსნო და სასულიერო სასწავლებლებისთვის, აგრეთვე უსწორებ გაკვეთილებს დ ა კ ლ ე ბ უ ლ ფ ა ს ე ბ შ ი.
მსურველთ შეუძლიან ნახვა და მოლაპარაკება ყოველ დღე. ადრესი: Дутешская ул. Ананурскiй пер. домъ Скрипина № 2. ბ. ნიკოლაიშვილი (2—648—1)

გამოცდილი მასწავლებელი
ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის
**პირობებით:**
სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს პერეეზამენოვკიანებსაც.
ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის რინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.
მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველნ შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...
დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вокзала въ Нахаловкѣ.
„შესავალი უთავრეს კარებიდან".
(თ.—1084—13)

ვ უ რ ჩ ე ვ თ
ბრინჯის ჰიგიენურ
—● პუდრათა მეფეს ●—
La Reine des poudres
სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).
—◀ 1900 წ. პარიზის ოქროს მედალი ▶—
პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.
„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".
ХИМИЧЕСКАЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ
მთავარი საწყობი:
ტფილისი, საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
(11—1295—1)

გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა
„შვების თავადი"
ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.
„სახალხო გაზეთის" ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (10—1308—9)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
აგრე ... ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა.


სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.

რ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.